

საქართველოს კანონი

“სახელმწიფო ბაჟის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის (გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1998 წელი – №19-20) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “შ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“შ) საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულება – ფინანსური მონიტორინგის სამსახური – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულების შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი